საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

შესვენებისა და ბავშვის კვების გამო დამატებითი შესვენების რეგულირება საჯარო სამსახურში

მთავარი მიგნებები

- Ḑ□□□□□ სამსახურის შესახებ □ კანონში შესვენებისა და ბავშვის კვების გამო დამატებითი შესვენების მოწესრიგებისათვის შრომის კოდექსის ნორმებზე მითითების არარსებობა წარმოადგენს ნეგატიურ სამართლებრივ რეგულირებას.

- საჯარო დაწესებულებათა მიერ შესვენებისა და ბავშვის კვების გამო დამატებითი შესვენების შრომის კოდექსის ნორმების მსგავსად მოწესრიგება წარმოადგენს პოზიტიურ სამართლებრივ რეგულირებას.

შესავალი

Ḍ□N□□ სამსახურის შესახებ □ საქართველოს კანონის მიხედვით საჯარო მოხელისათვის შესვენებისა და ბავშვის კვების გამო დამატებითი შესვენების მიცემის საკითხის რეგულირება საჯარო დაწესებულების დისკრეციული უფლებამოსილებაა. სოციალური გარანტიით სარგებლობის ადმინისტრაციულ ორგანოთა ნებაზე დამოკიდებულებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, აღნიშნული რეგულირება ზრდის საჯარო მოხელის უფლებათა დაცულ სფეროში უხეშად ჩარევის რისკს. Ḍ□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონისგან განსხვავებით, შესვენებისა და დამატებითი შესვენების დროის საკითხი დეტალურად არის მოწესრიგებული საქართველოს შრომის კოდექსით.

დღესდღეობით, საჯარო სამსახურში პირთა დასაქმება, როგორც საჯარო მოხელის სტატუსით, ისე შრომითი ხელშეკრულებით ხდება. კერძო და საჯარო სექტორებში შესვენების დროის განსხვავებული რეგულირების არსებობით, კანონმდებელი საჯარო მოხელეებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან მიმართებით სოციალური დაცვის ნაკლებ გარანტიას ანიჭებს, რითაც არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. ამასთან, დამატებითი შესვენების დროით უზრუნველყოფას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია, რადგან მას, უფრო მეტად კი, მის ფარგლებს გავლენა აქვს არა მხოლოდ საჯარო მოხელის, არამედ მისი მეძუძური/[1] წლამდე ასაკის ბავშვის კეთილდღეობაზე.

მოცემული ბლოგის ფარგლებში სისტემურად გაანალიზდება საჯარო მოხელეთათვის შესვენებისა და დამატებითი შესვენების მიცემის წესი. შრომის კოდექსის დებულებებთან შედარებით გამოიკვეთება რეგულირების ხარვეზები;

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და უცხოური პრაქტიკის ანალიზის ფონზე შემოთავაზებული იქნება მათი გამოსწორების გზები.

ეროვნული რეგულირება

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში Ḍ□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა 2020 წლის დასასრულს შრომის კოდექსში შესულმა ცვლილებების პაკეტმა, რასაც საფუძვლად ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები დაედო, კერძო სექტროში შრომითი უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი დაამკვიდრა. სწორედ ამით აიხსნება Ḍ□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონით

სოციალური გარანტიების, მაგალითად დასვენებისა და უქმე დღეების, მომწესრიგებლად შრომის კოდექსის ნორმებზე მითითება.1 აღნიშნული პოზიტიურ სამართლებრივ რეგულირებად უნდა შეფასდეს.

შესვენება და დამატებითი შესვენება იმ გამონაკლის საკითხთა შორის რჩება, რომელთა მარეგულირებლად Ď□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონმა შრომის კოდექსს საჯარო დაწესებულებათა შინაგანაწესი არჩია.[2] საიას მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე დგინდება, რომ სამიზნე საჯარო დაწესებულებების შინაგანაწესთა დიდი ნაწილი შესვენებას შრომის სამართლებრივი ნორმის იდენტურად არეგულირებს.[3] აღნიშნული მოკვლევა, მიზნობრივი საჯარო დაწესებულებების მცირე წრიდან გამომდინარე, ნაკლებად იძლევა ერთიანი სურათის წარმოდგენის შესაძლებლობას. ამასთან, შინაგანაწესის ნაცვლად სოციალური გარანტიის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა შრომითი უფლებების დაცვის შედარებით მაღალ ხარისხს გულისხმობს.

შესვენებისა და დამატებითი შესვენების მიცემის წესი და ფარგლები დეტალურადაა მოწესრიგებული შრომის კოდექსით. კანონმდებლის მიზანია დაიცვას, ერთი მხრივ, ის დასამქებული, რომლის დღიური სამუშაო დროის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება,[4] მეორე მხრივ კი, დამატებით დაიცვას მეძუძური ქალი 1 წლის ასაკამდე ბავშვის კვებისას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულს დამატებითი შესვენება არანაკლებ 1 საათის ოდენობით ეძლევა, რაც სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.[5]

ბავშვის კვების გამო დამატებითი შესვენების ნაცვლად, Ď□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონით იმ საჯარო მოხელეს, რომელიც 1 წლამდე ასაკის

ბავშვს ზრდის უფლება აქვს ისარგებლოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებით,[6] თუმცა, ამ შემთხვევაში ის თანამდებობრივ სარგოს მხოლოდ ნამუშევარი საათების პროპორციულად მიიღებს.[7]

Ď□N□□ სამსახურის შესახებ □ კანონის მოქმედი რეგულირება საჯარო მოხელის სოციალური დაცვის შედარებით დაბალ სტანდარტს ადგენს, რაც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მოხელის, არამედ მისი მცირეწლოვანი ბავშვის მდგომარეობაზეც.

საერთაშორისო და უცხოური გამოცდილება

სამუშაო დღის განმავლობაში შესვენებით სარგებლობის საკითხს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სამუშაო დროის შესახებ კონვენციები (No.1 და No.30) არეგულირებენ.[8] [9] ამ კონვენციების მიხედვით შესვენების დრო გულისხმობს დასაქმებულის

შესაძლებლობას დაისვენოს სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შესვენების დროს დასამქებული დამსაქმებლის განკარგულებაში არ იმყოფებოდეს. ქალთა უფლებათა დაცვის მიზნით, 2000 წელს ILO-მ დამატებით შეიმუშავა დედობის დაცვის შესახებ კონვეცია (No.183), რომლის მიხედვით, ქალს უფლება აქვს ბავშვის ძუძუთი კვების მიზნით სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს ერთი ან მეტი შესვენებით ან შეამციროს ყოველდღიური სამუშაო საათების რაოდენობა. დამატებითი შესვენების საათები სამუშაო დროში იანგარიშება და ჩვეულებრივ ანაზღაურდება. აღნიშნული კონვენციები საქართველოს რატიფიცირებული არ აქვს.[10]

ევროკავშირის 2003/88/EC (სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ) დირექტივით დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს შესვენებით, თუ მისი სამუშაო დღის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება. ამასთან, მხოლოდ ის ფაქტი, რომ დასაქმებულს სამუშაო დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება არ უწევდეს კონკრეტული საქმის შესრულება არ განიხილება შესვენებად. დასაქმებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შესვენების დრო გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის.[11] გარდა ამისა, ევროკავშირის

92/85/EEC (ორსული, ახალნამშობიარევი და მეძუძური დასაქმებულებისათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ) დირექტივის დებულებების მიხედვით მეძუძურ დედას უფლება აქვს ისარგებლოს ორი დამოუკიდებელი შესვენებით, თითოეული არანაკლებ 1 საათის ოდენობით. ამასთან, ბავშვის კვების გამო შესვენებით სარგებლობამ არ უნდა შეცვალოს დასაქმებულის მდგომარეობა. კერძოდ, გავლენა არ უნდა იქონიოს მის ანაზღაურებასა და პრივილეგიებით სარგებლობაზე.[12]

2003/88/EC და 93/85/EEC დირექტივების დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრიგების ვალდებულება საქართველომ ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით აიღო.[13] ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით აიხსნება შრომის კოდექსით შესვენებისა და დამატებითი შესვენების დროის გამართული რეგულირება.

მსგავსად ქართული კანონდებლობისა, საჯარო მოხელის სოციალური გარანტიით უზრუნველყოფის ფარგლებს დეტალურად არც ჩეხეთის Ď□□Ň□□□ სამსახურის შესახებ □ კანონი აწესრიგებს. თუმცა, ქართული რეგულირებისაგან განსხვავებით, ჩეხეთის კანონმდებლობაში აღნიშული საკითხების მომწესირგებელი ნორმები ბლანკეტური ხასიათისაა და მითითებას შრომის კოდექსის შესაბამის მუხლებზე აკეთებს.[14]

დასკვნა

Ḍ□□Ṇ□□□ სამსახურის შესახებ □ კანონში სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებით შრომის კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითება ქართველი კანონმდებლის მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია, რითაც კერძო სექტორში დამკვიდრებული შრომითი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი საჯარო მოხელეებზეც ვრცელდება.

მართალია, საჯარო დაწესებულებათა უმეტესობა შესვენებისა და დამატებითი შესვენების შინაგანაწესით რეგულირებისას შრომის კოდექსის ნორმებით ხელმძღვანელობს, თუმცა უმჯობესი იქნება თუ სხვა სოციალური გარანტიების მსგავსად, შესვენებისა და დამატებითი შესვენების მარეგულირებელ სამართლად შრომის კოდექსი თავად Ḍ□□Ṇ□□□ სამსახურის შესახებ“ კანონით განისაზღვრება.

ავტორი : ნინო მაჭარაშვილი

ბლოგი მომზადებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში.

---

1 Ḍ□□Ṇ□□□ სამსახურის შესახებ □ საქართველოს კანონი, მუხლი 60.III, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=46 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

2 იქვე, მუხლი 122.ბ [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

3 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, შრომითი უფლებები საჯარო სამსახურში, 2022, 52-58. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://gyla.ge/files/2020/შრომითი%20უფლებები%20 საჯარო%20სამსახურში%20(1).pdf [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

4 საქართველოს ორგანული კანონი Ḍ□□□□□□□□□□□ შრომის კოდექსი □□ მუხლი 24.V, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=24 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

5 იქვე, მუხლი 24.VI [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

6 Ḍ□N□□ სამსახურის შესახებ □ საქართველოს კანონი, მუხლი 61.IV [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

7 Ḍ□N□□ დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ □ საქართველოს კანონი, მუხლი 30.III, ხელმისაწდვომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3971683?publication=23 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

8 ILO, C001 - Hours of Work (Industry) Convention, 1919, ხელმისაწდვომია ვებგვერდზე, https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C001 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

9 ILO, C030 - Hours of Work (Commerce and Offices) Convention, 1930, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C030 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

10 ILO, C183 - Maternity Protection Convention, 2000, Article 10.(1)(2), ხელმისაწდვომია ვებგვერდზე: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C183 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

11 Directive 2003/88/EC of The European Parliament and of The Council of 4 November 2003 concerning certain aspects of the organisation of working time, Article 4, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32003L0088 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

12 Council Directive 92/85/EEC of 19 October 1992 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health at work of pregnant workers and workers who have recently given birth or are breastfeeding, Article 11a, ხელმისაწდვომია ვებგვერდზე: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-7-2010-0373_EN.html [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

13 Ḍ□□□□□□□□□ შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის □ დანართი XXX, ხელმისაწვდომია ვებგვერ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 [ბოლო ნახვა: 27.09.2023]

14 Czech Republic, Ą□□□ Service Act □ §81.(1)(2) §102.(2), ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/62165/60967/F615223210/CZE62165.pdf [ბოლო ნახვა: 27.09.2023]